



EASTERN PARTNERSHIP
Civil Society Forum



National Endowment
for Democracy
Supporting freedom around the world

გადაწყვეტილების მიღების პროცესში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

ჩართულობასთან დაკავშირებული

მთავარი გამოწვევები



კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
2017 წ



გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობასთან დაკავშირებული მთავარი გამოწვევები

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის მიერ (რეგრანტინგი) დაფინანსებული პროექტის „ინკლუზია მოქმედებაში“ (Inclusion in Action) ფარგლებში. პროექტის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანაში - საქართველოში, მოლდოვასა და სომხეთში - ერთდროულად შეეწყოს ხელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის დონის გაზრდას, კონკრეტული პოლიტიკის ინტრუმენტების შემუშავებისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის გზით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება ორ ძირითადი ინსტრუმენტის შემუშავება, რომელთაგან პირველი წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში შპმ პირთა ჩართულობის პოლიტიკის დოკუმენტის ნიმუშს, ხოლო მეორე დოკუმენტი ემსახურება ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის აუცილებელი პირობების ჩამონათვალის (Checklist) შექმნას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია გადაწყვეტილების მიღებ პირებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს გააცნოს ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში შპმ პირთა სრულფასოვან ჩართულობას უშლის ხელს.

ძირითადი მიზეზები

შპმ პირთა მონაწილეობისათვის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აუცილებელია, რომ ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოხდეს ამ პირების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა. მიუხედავად სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობის, პროექტების თუ სამოქმედო გეგმებისა ამ კუთხით ხელშეწყობები შედეგი მიღწეული არაა, რასაც ასევე ადასტურებს 2016 წელს ჩატარებული კვლევა „გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის შესწავლა“, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და განხორციელებული წინამორბედი პროექტის „ინკლუზიიდან გადაწყვეტილების მიღების თანამონაწილეობამდე“

ფარგლებში.¹

მიზეზები მრავალმხრივია და გრძელ სიას მოიცავს, თუმცა საგულისხმოა, რომ კონკრეტული პრობლემები დაკავშირებულია ორ ძირითად პრობლემასთან, რომელთაგან პირველი ეხება ცენტრალური ხელისუფლების დონეზე მოქმედ არაეფექტურ არაეფექტურ ორგანოს, ხოლო მეორე - რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შპმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა/ამოქმედების დროულად და ეფექტურად ვერამოქმედების საკითხს.

1. ცენტრალური ხელისუფლების დონეზე მოქმედი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა 2009 წლის ბოლოს. მისი ფუნქციები განისაზღვრა მთავრობის N231 დადგენილებითა და თანდართული დებულებით. საბჭოს შექმნის მიზანი იყო მინისტრებისაგან დაკომპლექტებული მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს არსებობა, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელებდა სხვადასხვა სამთავრობო უწყებებში შპმ პირებთან დაკავშირებული საკითხებისა და პროგრამების ზედამხედველობასა და კოორდინირებას. თუმცა საბჭომ თავდაპირველი ფუნქცია მოგვიანებით დაკარგა და დებულებაში ცვლილებების გარეშე გამოცხადდა გაეროს შპმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის ორგანოდ. აღნიშნული ცვლილებით არაეფექტური გახდა მთლიანად საბჭოს საქმიანობა, ვინაიდან საკონსულტაციო ორგანო, როგორც იყო „საბჭო“, ძირეული რეფორმირების გარეშე, ანუ, ორგანოს დებულებაში გაწერილი შესაბამისი უფლებებისა და ვალდებულებების გარეშე, აბსოლუტურად უუნაროა იყოს პასუხისმგებელი იმპლემენტაციაზე. ამასთან, მას უნდა ჰქონდეს მუდმივმოქმედი ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც პირდაპირ პრემიერის ადმინისტრაციას დაექვემდებარება და განახორციელებს საკითხის სრულ კოორდინირებას, ხოლო თემის წარმომადგენლები ჩართულნი იქნებიან ამ ორგანოს თემატურ ჯგუფებში, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები და მოახდენენ კონკრეტული პრაქტიკული რეკომენდაციებისა და სამართლებრივი აქტების/პროექტების შემუშავებას.

¹ კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის (2016). „გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის შესწავლა“, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://eap-csf.eu/index.php/2016/10/12/wg1-project-1/>

აღნიშნული პრობლემა წარმოადგენს სისტემურ ხარვეზს ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. საბჭოს არაეფექტური ფუნქციონირება ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყანაში სწორი პოლიტიკის განხორციელებაზე და ვერ პასუხობს მთავარ ამოცანას - შშმ პირთა სრულფასოვან ინტეგრაციას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

2. მეორე საკითხს წარმოადგენს, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, შშმ პირთა ჩართულობით, საბჭოების შექმნა/ამოქმედება, რომლის ვალდებულება საქართველოს მთავრობამ აიღო 2014-2016 წლის სამოქმედო და 2016-2017 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმებით. აღნიშნული საბჭოების სრულყოფილი ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება შშმ პირთა სრულფასოვან ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა საკითხის შესწავლა ცხადყოფს, რომ საბჭოები ამ დრომდე არ არის ჩამოყალიბებული 75-ვე მუნიციპალიტეტში, როგორც ეს სამოქმედო გეგმით იყო განსაზღვრული. იმ საბჭოებში კი, რომლებიც დროულად შეიქმნა, ნაკლებად არის უზრუნველყოფილი შშმ პირთა მონაწილეობა, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს თვითმმართველი ერთეულების დაბალი ინფორმირებულობით ამ პირთა უფლებებისა და მათი მონაწილეობის აუცილებლობის თაობაზე;² ასევე, რეგიონებში აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების არარსებობით და არაორგანიზებული თემით. აღნიშნული პრობლემების დაძლევა მნიშვნელოვნად გაზრდის შშმ პირთა ჩართულობას.

რეკომენდაციები

მოცემულ დოკუმენტში აღნიშნული პრობლემების მოგვარება საჭიროებს მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის წარმომადგენლების ერთიან ძალისხმევას. ცენტრალური ხელისუფლების დონეზე არსებული სისტემური ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ერთიანი პოზიციის დაფიქსირებით და მთავრობასთან კოორდინირებული ქმედებით. ხოლო ადგილობრივ დონეზე, ჩართულობის გაუმჯობესებისათვის, აუცილებელია კონკრეტული პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და გაიდლაინების შექმნა/დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ჩამოყალიბებული საბჭოების ეფექტურ ფუნქციონირებას. გარდა ზემოაღნიშნული ქმედებებისა, მნიშვნელოვანია, რომ ხელი შეეწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის თვითორგანიზებას მუნიციპალიტეტებში და მათ გააქტიურებას.

² საქართველოს სახალხო დამცველი (2016). „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4562.pdf>

“The project benefits from the support through the EaP CSF Re-granting Scheme. Within its Re-granting Scheme, the Eastern Partnership Civil Society Forum (EaP CSF) supports projects of the EaP CSF members with a regional dimension that contribute to achieving the mission and objectives of the Forum.

The donors of the Re-granting Scheme are the European Union and National Endowment for Democracy.

The overall amount for the 2017 call for proposals is 290.000 EUR. Grants are available for CSOs from the Eastern Partnership and EU countries.

Key areas of support are democracy and human rights, economic integration, environment and energy, contacts between people, social and labour policies.”